საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 კაპ.

წელიწადი მეორე

მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 5 სამშაბათი, 7 იანვარი, 1919 წ. № 5

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბლიოთეკა

მთავრობის მოამბე, ყოველ დღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

„საქართველოს რესპუბლიკა"

მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის.

ხელის მოწერის ფასი: ერთი წლით—120 მ., ნახევარი წლით—60 მ., ერთი თვით—10 მ.

ცალკე ნომერი ყველგან **50** კაპ. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის **10—3** საათამდე. ბარონის ქ., № 6, ტელეფონი 1—82.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა.

ს. ა. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

ოთხშაბათს 8 იანვარს დილით

ნდრინოვას, იანსას, მოლჩანოვის, ნიკოლსკის მონაწილეობით **ალი.** საღამოს საბანეევას, ზალიპსკის, ვრონსკის და ისეცკის მონაწილეობით

რომეო და ჯულიეტა

ხუთშაბათს, 9 იანვარს დილით—კარმენი, საღამოს ჟიდოვკა. შაბათს, საღამოს,—საბანეევას, ნიკოლსკის, ინაევის მონაწილეობით ფაუსტი. 1—1 24

განცხადება

ქ. ტფილისის და აგრეთვე ტფილისის, გორის და თელავის მაზრების გენერალ-გუბერნატორისა.

ვაცხადებ ქ. ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ, რომ ვინაიდგან ახლო მომავალში დანიშნულია ქალაქ ტფილისის თვითმართველობის ხმოსნების არჩევნები, ჩემ მიერ **ნებადართულია მოქალაქეთა კრებები წინასწარ საარჩევნო თათბირისთვის და ხმოსანთა სიების შესამუშავებლად**

მილიციის მოხელეებს ევალებათ არავითარ შემთხვევაში არ შეუშალონ ხელი მოქალაქეებს ზემო აღნიშნულ კრებების გამართვაში და ამასთანავე ეკრძალებათ დაესწრონ უკანასკნელს და მით უმეტეს მიიღონ მასში რაიმე აქტიური მონაწილეობა.

გენერალ-გუბერნატორი **შ. მაღლაკელიძე.**

4 იანვარი 1919 წ. ქ. ტფილისი. 1—1 20

ექიმი ი. ძ. [illegible]

შინაგანი ავადმყოფობა.

განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდისა, ფილტვებისა, სასუნთქისა, ფილტვების აპკისა გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველმხრივ სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 4½— 6 საათამდე. პეტრე დიდის ქუჩა № 26. ტელეფ. 5—86. № 719.

რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

მედიცინის დოქტორის

ბ. მერაბოვისა.

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა), მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, ჭლექის ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. გებუთოვის ქუჩა, № 23, ტელეფ. 7—92. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ.

70—7 **საწყლებს უფასოდ.** 624.

ოფიციალური განყოფილება

კ ა ნ ო ნ ი

სამხედრო დროშისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო დროშა შესდგება კვადრატული ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი გვირგვინში; ალამს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია, გარშემორტყმული ვერცხლის ზოლით; ალამს აქვს სამი შვინდისფერი კუწუბი, ვერცხლის ზოლ შემოვლებული. დროშის ბუნი შვინდისფერი, მოოქროვილ ლახვრიანი, რომელზედაც ცალმხრივ ჩამოშვებულია ორი ოქროს ფოჩი.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

კ ა ნ ო ნ ი

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტისა.

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის შტანდარტი შედგება კვადრატულ ფორმის თეთრი ალმისაგან, რომლის შუაგულში მოთავსებულია საქართველოს რესპუბლიკის ღერბი. შტანდარტს შემოვლებული აქვს შვინდისფერი არშია შავი კუწუბებით შიგნითა მხრიდან.

არშიას გარს არტყია ოქრომკედით ამოქარგული ქართული სირმა. ანძა არის სამფეროვანი: ვიწრო ზოლები-შავი და თეთრი, ხოლო ზოლები-შვინდისფერისა.

2. ეს კანონი ძალაში შედის დღიდან მისი მიღებისა.

1918 წ., დეკემბრის 27-ს.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

აღწერილობა საქართველოს რესპუბლიკის ღერბისა.

1. შვინდისფერ ადგილიანს რგვალ ფარზედ თეთრი გიორგი ოქროს ჩლიქებიან თეთრს ცხენზედ.

მარჯვენა ხელში შესატევად მომარჯვებული ოქროს შუბი ვერცხლის ლახვრიანი.

ცისფერი ჯავშანი, რომელსაც აქვს ვერცხლის უჯრედები; ჯავშნის ქვეშ მიხაკის ფერი ტყავის პერანგი; სახელო და ბოლო მოსასხამისა თეთრი.

მარცხენა მხარზედ, თეთრი ფარი სახიანი; შალვარი ალისფერი, ოქროს წაღები;

უნაგირის ქვეშ ვეფხის ტყავის ყაჯარი; უნაგირი ოქროსი და უზანგი ვერცხლისა; ღერბის თავში რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი; მის მარჯვნივ ვერცხლის მთვარე, მარცხნივ ოქროს მზე; მთვარის და მზის აქეთ იქით ორ-ორი რვა კუთხიანი ვერცხლის ვარსკვლავი.

ცხენის ქვევით შავი მთის მწვერვალი. ფარის გარშემო შავი არშია თეთრ წინწკლებიანი ოქროს ზოლებში ჩასმული.

2. ეს კანონი შედის ძალაში დღიდან მიღებისა.

1918 წ. დეკემბრის 27.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნ. ჩ ხ ე ი ძ ე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა.

მთავრობის თავმჯდომარის ბ-ნ ნოე ჟორდანიას სიტყვა.

ბ. ევგენი გეგეჭკორის მოხსენების შესახებ, რომელიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის უკანასკნელ ნომერში, ილაპარაკეს და გააკრიტიკეს იგი დამ. ხალ. დემ. ბ. ვეშაპელმა, ნაც. დემ. სპ. კედიამ. მათ საპასუხოდ სიტყვა აიღო მთავრობის თავმჯდომარემ ბ. ნოე ჟორდანიამ.

ბ. ნოე ჟორდანიას სიტყვა.

მოქალაქენო! თქვენ მოისმინეთ ოპოზიციის ორატორები, რომლებმაც სასტიკი განაჩენი გამოუტანეს მთავრობას.

მათ სთქვეს, რომ მთავრობამ ჩაიდინა დიდად სასიკვდილო და საქმე საზარალო. მათ აქ წარმოსთქვეს მთელი ფილიპიკა ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენი პირობები რომელიც იქნა დადებული 25 დეკემბერს მათ გაატარეს სასტიკ კრიტიკაში. მაგრამ მე ერთს ვკითხავ აქ: სად იყვნენ ეს ფრაქციები და ის პირები რომლებიც აქ გამოვიდნენ მაშინ, როცა ჩვენ იმ პირობებს 25 დეკემბერს ხელსვაწერდით? ისინი იყვნენ სწორედ იქ და მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ ამ პირობების შემუშავებაში. (ხმები ერ. დემ. მხრივ: ტყუილია!) ბატონი გვაზავა იქ იყო! (ხმაურობა).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. უკაცრავად, გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

პარლამენტის წევრო მიხეილ მაჩაბელო, უმორჩილესად გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. (ხმაურობა მარცხნივ) (მ. მაჩაბელი. იმათაც სთხოვეთ!)

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. გთხოვთ ბატონო მაჩაბელო ნუ მასწავლით, რადგანაც მეც გამეგება ჩემი მოვალეობა.

კეთილ ინებეთ და დამშვიდდით. (მთავრობის თავმჯდომარეს) გთხოვთ განაგრძოთ!

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. მოგახსენებთ 25 დეკემბერს მთავრობას ჰქონდა სხდომა ფრაქციათა წარმომადგენლებთან ერთად და სწორედ ის ხელები, რომელიც აქ ტაშს უკრავდნენ ბატონ კედიას, რომელსაც თვის საათიც აჩუქა, რომელიც აიღო, ბატონმა გვაზავამ. სწორედ ეს ხელები იყო, რომელმაც შეიტანა შესწორება.

გ. გ ვ ა ზ ა ვ ა (ფეხზე სდგება) არ არის მართალი, არ არის მართალი, არ არის მართალი!

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ბ. გვაზავა! კეთილ ინებეთ და დაბრძანდით. ნუ მაიძულებთ შენიშვნა მოგცეთ.

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ჩვენ გისმენდით, თქვენც მოგვისმინეთ. (გ. ვეშაპელი: ჩვენც ვიყავით ბატონო თავმჯდომარე?

ნ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა. ბატონი ვეშაპელი იყო წინა კრებაზე და არ წარმოუდგენია არც ერთი საბუთი იმისა, რომ არ შეგვეწყვიტა ომი, არ მიგველო ესა თუ ის პირობები. (ვეშაპელი: როდის?) სწორედ რომ ამ პალტოში იყავით და იღებდით მხურვალე მონაწილეობას წინა კრებაზე.

(გ. ვეშაპელი: სცდებით ბატონო!) მე ძალიან კარგათ ვიცი, რომ იქ ბრძანდებოდით და იღებდით მონაწილეობას.

მოგეხსენებათ მთავრობას არ გადაუდგია ისეთი ნაბიჯი, რომელიც არ სცოდნოდეს წინდაწინ ფრაქციებს და მათ წარმომადგენლებს; და მათი წინააღმდეგობა, მათი პროტესტი მოისმინა მთავრობამ მხოლოდ დღეს. (რ. გაბაშვილი: გაზეთებში იწერებოდა?) ბატონებო, მხოლოდ გუშინ იყო გაზეთებში, თუმცა გუშინდლამდე თქვენ იცოდით და ყველა ეს თქვენი მონაწილეობით ხდებოდა. (გ. ვეშაპელი: რად დაკეტეთ „კლდე" პირველად?) აქედან ცხადია ბატონებო, რომ თუ რომელიმე ფრაქციას შეუძლიან აწარმოოს ორი პოლიტიკა იმის და მიხედვით თუ სად იმყოფებიან, რომელ ოთახში, ერთი ჩვენს კაბინეთში და მეორე აქ, ცხადია რომ სულ სხვა მოსაზრება ალაპარაკებთ მათ (ტაში. ხმა: მართალია) და არა ის მოსაზრება, რომელსაც ადგებიან ისინი მთავრობის კაბინეთში (ტაში) აქ ოპოზიციას ჰსურს ისარგებლოს შემთხვევით და თვის პარტიული კაპიტალი ეხლა მაინც მოაგროვოს. (ს. კედია: ეხლა არის Patria და პარტია!) დიაღ ბ. კედიას სიტყვაში არ ყოფილა არც ერთი სახელმწიფოებრივი მოსაზრება. (თავიდან ბოლომდე, ბ. თავმჯდომარე?)

(თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. უკაცრავად, უკაცრავად). ბ. კედიას სურს, რომ მე მოუყვანო იმას საბუთი. დიაღ, ამასაც მოვიყვან. ბ. კედიამ აქ სთქვა, რომ შეუძლებელი არის, მიგველო ისეთი პირობები, ამ შემთხვევაში, თუ ჩვენ ინგლისი, ან საფრანგეთი ულტიმატუმს წამოგვიყენებდნენ. აქედან სჩანს, რომ ბ. კედიას სურვილია, რომ ასეთი პირობები ულტიმატუმის სახით, სხვა,უცხო ძალის ჩვენთვის თავზე მოეხვია. თქვენი მთავრობა ამას არ იზიარებს. ის ამბობს, რომ ჩვენ ვართ მთავრობა სუვერენული, და არავითარ ულტიმატუმებს არ მივიღებთ (ს.-დ. მხ. ტაში) ბ. კედიას მოსაზრებიდან სჩანს, რომ ჩვენ ყოველთვის, მე ვგულისხმობ მთავრობას, ჩვენ უნდა მივიღოთ, თურმე ბრძანება, და, ამ ბრძანების მიხედვით, გადავდგათ ნაბიჯი. მე გეკითხებით თქვენ: არის ამაში რაიმე სახელმწიფოებრივი მოსაზრება? არა, ბატონებო. თუ დღეს მივიღეთ ერთი ულტიმატუმი, ერთ საგანზე, ხვალ მეორე საგანზე, ზეგ მესამეზე,—ეს იქნება არა დამოუკიდებელი მთავრობა, არამედ იქნება მთავრობა დამოკიდებული, სხვის უფლებაში, სხვის პროტექტორატში ჩავარდნილი. ასეთია, ბატონებო, ჩვენი აზრი ერთი მხრივ, და ამ ფრაქციის აზრი—მეორეს მხრივ. გარდა ამისა, თქვენ მოისმინეთ ბ. კედიას კომენტარიები ისეთი კომენტარიები, რომლებიც ამ ტრიბუნიდან არ უნდა წარმოედგინა, თუ ავტორი ამ კომენტარიებისა, ხელმძღვანელობს მართლა სახელმწიფოებრივ მოსაზრე-

ითი. [illegible] აქედან გამოაცხადა, რომ ახალქალაქის და ბორჩალოს მაზრები ჩვენთვის დაკარგულია, ამას ჩვენ არ მოგვცემს პარიზის კონფერენცია. მე მეგონა, რომ ამ ტრიბუნიდან ითქმოდა სულ წინააღმდეგი. მე მეგონა, რომ ის, რაც მოხდა სრულიად არ სპობს ჩვენს უფლებას; დღემდის ვფიქრობდი, ბ. კედიას ასულდგმულებდა მარტო ინტერესი სახელმწიფოებრივი, და არა მარტო პარტიული. ეს დღეს არ დამტკიცდა. მან სთქვა ისეთი აზრი, ის აძლევს, წინასწარ ჩვენ მტრებს ისეთ ახალ საბუთებს, რომ იმათ შეუძლიათ სთქვან, რომ, თუ კი პარლამენტის წევრი საქართველოისა ამ აზრისა არის, თავისთავად ცხადია, რომ ჩვენც ამ აზრისა უნდა ვიყვეთ. ასეთი გახლავთ სახელმწიფოებრივი მოსაზრება ბ. კედიასი, და იმ პირების, რომლის სახელით აქ ილაპარაკეს. აქედან თქვენ ხედავთ, რომ სრულიად ჩვეულებრივია ამ პარტიის წარმომადგენლები, ერთს ლაპარაკობენ იქ, და მეორეს აქ. (ერ. დემ. თქვენი შეგირდები გახლავართ!) იმიტომ, რომ იქ, ასე თუ ისე, ეხვევიან სახელმწიფოს, თუ მთავრობის პასუხისმგებელ ქერქში. მაგრამ, აქ მოდიან, და ლაპარაკობენ არა სახელმწიფოსთვის, არამედ ამომრჩევლებისათვის! ე. ი. ისინი უყურებენ. (ხმაურობა, ხმა: სირცხვილია! ვეშაპელი: საქართველოს პრეზიდენტი ასე ლაპარაკობს!) თქვენ გინდათ... ბ. მაჩაბელი არ გახლდათ იქ, მაგრამ მისი მოციქულები გახლდნენ. (ხმაურობა). (თავმჯდომარე: ბ. გვაზავა, ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. კიდევ გთხოვთ, ბ. ვეშაპელო! რაკი თქვენი ჩემი თხოვნა არ გესმით, მე იძულებული ვარ, რომ შენიშვნა მოგცეთ.) ეს, ბატონებო, გახლავთ ფრაქციის დამახასიათებელი. ასეთი გახლავთ ჩვენი ოპოზიცია, და მე ვწუხვარ, რომ ასეთი სუსტი ოპოზიცია გვყავს. ეხლა გადავიდეთ კითხვის არსებითი მხარეზე,—მართლაც დიდი დანაშაული ჩავიდინეთ? მართლა, ღირსნი ვართ იმ განაჩენისა, რომელიც აქ დღეს გამოსთქვეს? არა, ბატონებო! და აი საბუთები: აქ, ამ ტრიბუნიდან ვეშაპელმა სთქვა, რომ ჩვენი მთავრობის პოლიტიკა დღიურია, ის ხან ერთს ლაპარაკობს, ხან მეორეს! ერთს შვრება დღეს, ხვალ სხვას. ასეთი მხატვრები, მსუბუქ ხასიათის პოლიტიკით სულდგმულობენო. აქ მან ისიც სთქვა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, რაღაც ცალკე პოლიტიკას აწარმოებს. და თქვენ იცით, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი, ამ ფრაქციებმა ამოირჩიეს, ეს რამდენიმე ხანია, განსაკუთრებით. აქ უნდა ვთქვა, არ არსებობს საგარეო სამინისტრო, ან შინაგან საქმეთა სამინისტრო—არის ერთი მთავრობა, არის ერთი კაბინეტი. და ის, რაც კეთდება საგარეო სამინისტროში, არის საქმე მთელ მთავრობისა. არა, მინისტრი არ აკეთებს თავის პირად პოლიტიკას. ეს მე მგონია, უნდა ცხადი იყოს იმისთვის, ვინც აქ ხშირად ლაპარაკობს. საგარეო მინისტრი... (ვეშაპელი: ხალხშიაც კი ლაპარაკობენ გეგეჭკორის პოლიტიკაზე!). დიაღ, ბატონებო, ხალხი ლაპარაკობს, მაგრამ, თქვენ ხართ პოლიტიკური მოღვაწე, და უნდა იცოდეთ ცოტად, რომ ამ პოლიტიკას... (ხმაურობა: არა, ბატონო!). აი, მაშასადამე, რაც მოხდა საგარეო სამინისტროს პოლიტიკაში, იმის პასუხისმგებელია არა მარტო საგარეო მინისტრი, არამედ, მთელი მთავრობა (გვაზავა: მართალია!). და ჩვენ ამას ვკისრულობთ შეგნებულად. მთავრობას არ აქვს ისეთი დღიური პოლიტიკა, რომელსაც დღეს მას აწერდა ბატონი ვეშაპელი. ჩვენ ერთ ხაზზე ვდგავართ დიდი ხანია და ერთი პოლიტიკური მისწრაფება გვაქვს და ამ ხაზიდან ვერავითარი ძალა, ვერც გარეშე და ვერც შინაგანი ჩვენ ვერ ჩამოგვაშორებს. ჩვენ არ ავყვებით იმას, თუ რა გულის წყრომა, რა გრძნობა ულღვის ამა თუ იმ ფრაქციას, ამა თუ იმ პარტიას, ან თითონ ხალხის ნაწილობს. აქ დღეს ბატონ კედიას სიტყვაში უფრო მეტი იყო გულის წყრომა, ვიდრე ლოღიკა ჩვენ, ჩვენ საერთო ხაზს, რომელზედაც ჩვენ ვდგავართ და ვაწარმოებთ, და აქეთ იქით არ უხვევთ ამ ხაზს, არ ვანაცვალებთ წუთიერ გამარჯვებას. ჩვენი ხაზი იცით თქვენ, იცის ოპოზიციამ, მაგრამ როცა უნდა მაშინ ივიწყებს ჩვენი მთავრობის ხაზი გახლავთ ის, რომ ჩვენ დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა, და ამასთანავე დავიცვათ ჩვენი დემოკრატიული წყობილება ყოველივე ის, რაც ამ ორ გარემოებას ხელს უშლის, ჩვენ არ გვინდა და იმისაგან შორს ვართ და აი, რაც ჩვენ მოვიმოქმედეთ ამ ომის დროს, ან ეხლა, ამ საქმეში ვმოქმედებთ აი სწორედ ამ თვალსაზრისით და მთავრობა დარწმუნებულია ამ აქტით ვაძლიერებთ ჩვენ დამოუკიდებლობას და ჩვენ დემოკრატიულ წყობილებას ბატონმა კედიამ სთქვა, რომ ჩვენ, ვითომ, ჩვენი მოქმედებით გავაძლიერეთ პარტია დაშნაკცაკანებისა, რომ ჩვენ მათ ვარგუნეთ გამარჯვება. მაკვირვებს იმისი ასეთი დასკვნა, თუმცა თითონვე ამბობს, რომ პარტია დაშნაკელებისა იბრძოდა და იბრძვის არა მარტო ბორჩალოს მაზრისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა შეემუსრა და აქ მოსულიყო. თუ ეს მართალი აზრია ბატონ კედიასი, მაშინ ცხადია რომ ჩვენმა მოქმედებამ ერთნაირად ჩაფუშა მათი ზრახვა და მით ისინი დიდად და დიდად დაშორდებოდენ ამ მიზანს. მე მგონია ბატონი კედია მართალია იმაში, რომ დაშნაკცაკანების პარტია ვერ ინელებს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამაში ვარ დარწმუნებული არა მარტო დღეს, არამედ დიდი ხანია. ამას ისიც ამტკიცებს, რომ ჩვენ ომის დაწყებამდინ, ვაწარმოებდით, მოლაპარაკებას სომხეთის მთავრობასთან ამ ჩვენ საზღვრების დასაცავად; ჩვენ თითქმის საზღვრებზედ შევთანხმდით, იქაც ოფიციალურ პირებთან გვქონდა მოლაპარაკება, და იქაც ერევანში, ოფიციალურად ჩვენ წარმომადგენელს იქ, მთავრობასთან ჰქონდა ლაპარაკი და თითქოს ერთსა და იგივე დასკვნას დავადექით. მაშასადამე ომი ამისთვის არ იყო საჭირო. არ იყო საჭირო იმისთვის, რომ აქ საზღვრების კითხვა გადაგვეწყვიტა. იყო საჭირო უფრო დიდი საქმისთვის, თუ ჩვენ და სომხების მთავრობა, მოვასწრებდით შეთანხმებას, ეს ნიშნავდა, რომ სომხების მთავრობას უნდა ეცნო ჩვენი სახელმწიფო და ჩვენი დამოუკიდებლობა. ომი იყო საჭირო, იმისთვის, რომ ეს არ მომხდარიყო. ჩვენი დამოუკიდებლობა, ჩვენი არსებული აქ წყობილება შემუსვრილიყო და ამით, განეხორციელებიათ ის, რასაც აქ სწერდენ „ორიზონში“ და „აშხატავორში“. ამას, ვამბობ, არავითარი მტკიცება არ უნდა, ეს ისეც აშკარაა ყველასათვის. მაშასადამე, პოლიტიკა დაშნაკელებისა და გზა მთავრობისა იყო მიმართული იმისაკენ, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ასე თუ ისე შეებღალათ და მოეშალათ, ესე იგი ისინი ეხებოდენ იმ ძარღვს, იმ ხაზს, რომელზედაც ჩვენ ვდგევართ და ვიცავთ. შეიძლება ისინიც ფიქრობდენ, რომ თავის საშუალებით იმ მიზანს ვერ მიაღწევდენ, მაგრამ, ალბათ ფიქრობდენ დავანახოთ იმათ, ვინც აქ მოვიდენ, რომ ამიერ კავკასიაში არ შეიძლება იყოს დამოუკიდებელი სახელმწიფოები, იმიტომ, რომ მათ ექნებათ ჩხუბი და აყალ-მაყალიო. ფაქტი ომიანობისა, ამ ორ მეზობელ ხალხთა შორის, უეჭველათ საბუთია იმისთვის, ვინც წინააღმდეგია ჩვენი დამოუკიდებლობისა. ეს იყო ერთ ნაირი პროვოკაცია, იქიდგან წამოსროლი. და უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენ არავითარ პროვოკაციას არ წამოვეგებით, და მას არ ავყვებით. დაშნაკელების პროვოკაციის აყოლა იქნება მათი საქმეების კეთება (მაჩაბელი: რაშია საქმე, გამაგებინეთ?). ბატონ მაჩაბელს არ ესმის მაღალი პოლიტიკა, იმიტომ რომ მიჩვეულია სულ სხვა, დაბალ პოლიტიკას (არსენიძე: მართალია). ბატონ მაჩაბელს არ ესმის ეს, იმიტომ, რომ არასოდეს პოლიტიკურ ასპარეზზე არ უმუშავნია და თავისთავად ცხადია ეხლა, ამ ბოლოს დროს, ეს ასპარეზი არც ისე ადვილია, რომ ის მან გაიგოს და შეიგნოს (მაჩაბელი—ვაიმე, ვაიმე). მოითმინეთ, ბატონებო, აქამდის ჩვენ გისმენდით (მაჩაბელი—მიუთითებს მემარცხენეებზე—ისინი სულ პოლიტიკოსები არიან?). დიაღ, ბატონებო, ისინი პოლიტიკოსები არიან იმიტომ, რომ 20 წელიწადია პოლიტიკურ ცხოვრებაში იწვიან. თქვენ კი ეხლა გამოდიხართ (გაბაშვილი—პოლიტიკა მარტო ქუჩებში კი არ კეთდება). მაშ მარტო ბანკებში?...

თავმჯდომარე. უკაცრავათ. კიდევ იძულებული ვარ გთხოვოთ, რომ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ.

ნ. ჟორდანია. ამნაირად, ერევნის მთავრობის უმთავრესი მისწრაფება მიმართული იყო იქითკენ, რომ დაემტკიცებინა ინგლისელებისთვის, ფრანგებისთვის, მთელი ქვეყნისთვის, რომ აქ თუ დარჩა ან საქართველოს, ან სომხეთის დამოუკიდებლობა, ისინი მუდამ ომში იქნებიან, და მაშასადამე ასეთი დამოუკიდებლობა უნდა იყოს მოშლილი და ეს ისე აშკარაა, რომ ჩამოსულ ინგლისელმა გენერალმა პირდაპირ გვითხრა: „თქვენ ამბობთ, რომ გინდათ დამოუკიდებელი საქართველო, ჩვენ ომი გავათავეთ; ამ ომში ჩვენ ამოდენა ხალხის სისხლი ვღვარეთ, და თქვენ ეხლა იწყობთ ომს, ამიტომ თავის თავად ცხადია, თქვენ არ შეგიძლიათ იქონიოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოვო. ბატონებო, ეს ისეთი აშკარა ფაქტია და ისეთი საბუთია, რომ ამ საბუთის წინაშე ვერავინ ფილიპიკებით და ლამენტაციებით აქ ვერას გააწყობთ (ხმაურობა. ვეშაპელი-ჯამალიანი).

თავმჯდომარე. მე კიდევ გთხოვთ ადგილიდან ნუ ლაპარაკობთ. ბატონო ვეშაპელო, ხელ მეორედ შენიშვნას გაძლევთ.

— მე ურჩევ ბ. ვეშაპელს, რომ მან მიჰბაძოს ჯამალიანს და ისე დაიცვას თავისი მთავრობა, როგორც ის იცავდა ერევნის მთავრობას.

აქ ჩვენ გამოგვიცხადეს უკვე ოფიციალურად და დღეს გაგვიმეორეს სხვათა შორის, რომ ტერიტორიის საკითხი აქ არ გადაწყდება. ის გადაწყდება იქ, პარიზში. თქვენი საზღვრები, სად იქნება ან თქვენი არსებობა,—ამას ვერც ომი გადასწყვეტს, ვერც ზავი.

აიღეთ თქვენ თუ გინდ ერევნის გუბერნია, ეს არ ნიშნავს, რომ თქვენ დაგრჩებათ ერევნის გუბერნია. ან წაიღონ სომხება რომელიმე მაზრა, ან რომელიმე კუთხე, ეს არ ნიშნავს რომ იმათ დარჩება. ამის სამჯავრო არის იქ, პარიჟში. აქ კი წარმოუდგენიათ ისე თითქოს ჩვენ ვიმყოფებით ისეთ მდგომარეობაში, რომ საქართველო და სომხეთი სწყვეტენ დამოუკიდებლათ თავის კითხვებს.

ბატონებო, ეს ასე არ გახლავთ. საქმე ასე რომ ყოფილიყო, მაშინ, თავის თავად ცხადია, ჩვენ შეიძლება სხვა გზა მოგვენახა, მაგრამ ეს ასე არ გახლავთ. ჩვენი საბოლოო სვებედი სწყდება იქ, მხოლოდ ჩვენ შეგვიძლიან აქედან ვაწარმოვოთ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს შეგვიწყობს იქ ჩვენი სვე ბედის ჩვენ სასარგებლოთ გადაწყვეტას.

აქ სთქვეს, ბატონებო, რომ ჩვენი აქაური დიპლომატია არ ვარგაო, იქაური, საგარეო დიპლომატია კარგიაო. საგარეო დიპლომატია ვერაფერს ვერ გააწყობს თუ ჩვენ არ მივცემთ საბუთი აქედან, თუ ჩვენ მოქმედებას, ჩვენ საქმიანობას, ჩვენ პოლიტიკას არ იქნება ისეთი საფუძველი, რომელზედაც დაემყარება აი იქ ჩვენი დიპლომატია. და მე ვამბობ, რომ ომის საკითხი, ისე როგორც ზავის საკითხი,—ჩვენ ამ კითხვას ვუმორჩილებთ პოლიტიკურ მიზნებს, ე. ი. ეს საშუალება აძლიერებს თუ ასუსტებს ჩვენს სახელმწიფოს და მის დამოუკიდებლობის იქ ცნობას. მე ვამბობ, რომ ომის გაგრძელება იმ პირობებში, რომელშიაც ჩვენ ვიმყოფებით, ნიშნავს ჩვენი დამოუკიდებლობისათვის ერთი ლახვარის ჩაცემას. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ აქ მართლაც საქმით დავამტკიცებთ, რომ ჩვენ არ გვეხერხება მშვიდობიანათ საქმის მოგვარება, ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი სახელმწიფოს მოვლა და სხვა მეზობლებთან ასე თუ ისე მეზობლური განწყობილების შენახვა. და აი ბატონებო, ვინც ჩვენ წინააღმდეგ გამოდიან, ვინც ამბობს, რომ ომიანობა არ უნდა შეგვეჩერებინაო,—იმას უნდა ეთქვა და დაემტკიცებინა, რომ ეს ომის შეუჩერებლობა ხელს შეუწყობს დამოუკიდებლობის ცნობას და გაძლიერებას ჩვენი ქვეყნისას. (მაჩაბელი: რაზე ლაპარაკობთ?). ასეთი საბუთი აქ არც უთქვამთ, არც მოუყვანიათ. საქმე იმაშია, რომ თქვენ ილაპარაკეთ იმაზედ, რაზედაც არ უნდა გელაპარაკათ, და არ ილაპარაკეთ იმაზე, რაზედაც უნდა გელაპარაკათ. (ტაში).

როცა მთავრობა დარწმუნდა იმაში, რომ ტერიტორიის საკითხი აქ არ გადაწყდება, მაშინ ომს დაეკარგება თავისი მიზანი, ომს არ დაურჩა არავითარი პერსპექტივა, მიდიხარ წინ და რისთვის, ვისთვის? როდესაც პერსპექტივას, მიზანი არ აქვს არც მთავრობას, არც ჯარს, მაშინ ომის წარმოება არ შეიძლება (გაბაშვილი რათ დაიწყეთ?). თუ, ბატონებო, იმას ფიქრობთ, რომ შეიძლება ეს მთავრობამ იცოდეს, ხოლო ჯარი მაინც უნდა წასულიყო წინ და ებრძოლა—ეს ნიშნავს დიდი დანაშაულობის ჩადენას ნიშნავს. ჩვენ ვაფასებთ დიდათ იმას, რომ უმიზნოთ და უსარგებლოთ სისხლი არ უნდა ილვაროს. პერსპექტივა ჩვენ აღარა გვქონდა, რომ ომის საშუალებით ჩვენ მივაღწევთ რამეს, და მაშინ ჩვენ არავითარი უფლება არ გვქონდა არც მორალური, არც პოლიტიკური, რომ გვეთქვა ჯარისათვის—წადი, იბრძოლე (ხმა. 25 შემდეგ რომ შეუტიეთ?) 25 შემდეგ სომხეთის მთავრობა არ იყო თანახმა, ის გახდა თანახმა მის შემდეგ, როცა შეუტიეთ და დავამარცხეთ. (მ. მაჩაბელი: თქვენ ხომ დიდი პოლიტიკოსი ბრძანდებით, გჯერათ ესა?) იმედია რომ თქვენც დაიჯერებთ ამას ბატონო, აი, ბატონებო, ის სალი პოლიტიკური ანგარიში, რომლითაც მთავრობა ხელმძღვანელობს და ხელმძღვანელობდა მაშინ, როცა მან შეაჩერა ეს ბრძოლა. ეგ არ ნიშნავს, თავის თავად ცხადია, რომ ჩვენ უნდა დავყაროთ ფარხმალი და უნდა ვიძინოთ ბალიშზე. ჩვენ ისევე საქმე გვაქვს ერევანის მთავრობასთან და იქ ხელმძღვანელ პარტიასთან, ჩვენ მათი ნდობა ამიერიდან არ გვაქვს. ჩვენ მუდამ გვექნება საფრთხე იმ მთავრობისაგან, სანამ იქ იქნება გაბატონებული დაშნაკელების პარტია. მაგრამ მე ვამბობ, ჩვენ არ უნდა ავყვეთ სწორეთ ამ პარტიას და მის პროვოკაციას. თუ ამ პარტიამ შესძლო ჩვენი გადაყვანა თავის მეთოდზე, თავის გზაზე, თუ მან შესძლო თავს მოგვახვიოს ბრძოლა, მაშინ იცოდეთ ჩვენ ვიქნებით დამარცხებულნი საბოლოოთ, ზნეობრივად და პოლიტიკურად...

(მაჩაბელი: აკი თქვენ თანახმათ გადაწყვიტეთ.

თავმჯდომარე. უკაცრავათ ბატონო, მაჩაბელო, სადა გგონიათ თქვენი თავი? უკაცრავათ ამ კითხვაზე, მაგრამ მე იძულებული ვარ ასეთი კითხვა მოგცეთ).

ბატონებო, ჩვენ არ ავყევით იმ მთავრობის პროვოკაციას, ე. ი. ჩვენ არ მოვიქმედეთ ისე, რომ ევროპას დაენახა, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა შეუძლებელია აქ არის მაშასადამე ისეთი მოქმედება, რომელიც იქიდან ჩვენ გვიკარნახებს, და ჩვენ ძალა უნებურათ გავყევით, მაგრამ ჩვენ შევჩერდით დროზე, და აი ამ ჩვენმა მოქმედებამ უფრო გააძლიერა, უფრო მეტი საბუთი მისცა ყველას იმისთვის, რომ ჩვენი სახელმწიფოებრივი ერთობა და მისი დამოუკიდებლობა იქნეს ცნობილი აი ეხლა დაშნაკელთა იმ პოლიტიკას რომ გავყოლოდიყავით ჩვენი დამოუკიდებლობა იქ საერთაშორისო ტრიბუნალზე ჩავარდებოდა დიდ საფრთხეში.

ჩვენ ვიცავთ არა მარტო საქართველოს დამოუკიდებლობას, არამედ ვიცავთ საქართველოს დემოკრატიულ წყობილებას. აქ ერთმა სთქვა, მგონი ეს იყო ბატ. ს. კედია, რომ საქართველოში ვერ მოვითმენთ სხვა ნაციონალურ ზრახვებსო. (კედია—პოლიტიკურ ზრახვებს საქართველოს წინააღმდეგ. ეს იყო ჩემი აზრი)... ეს არის ჩვენი პოლიტიკაო. მე მაგაში სრულიად ვეთანხმები ბ. კედიას, არ შეიძლება სახელმწიფოში იყოს მეორე სახელმწიფო. მაგრამ მე უნდა ვკითხო, რა საშუალებით სურს ბ. კედიას, რა საშუალებით სურს ეს საქმე ასე მოაწყოს, რით ჰსურს, რომ საქართველოში მართლა არ იყოს სხვანაირი, ჩვენ სახელმწიფოს წინააღმდეგ ზრახვები და მიმართულებები. ის ალბათ ფიქრობს, რომ უნდა ავიღოთ ჩვენ ხელში მაგარი კეტი და თავზე დავცხოთ ყველას, ვისაც ასეთი ზრახვები აქვს. (ხმა მემარჯვენეებისაგან.—არ არის მართალი).

ბატონებო, ამას თუ არ ფიქრობს, მაშინ ის უნდა გამოვიდეს თავის პარტიიდან და აქეთ, სხვა პარტიაში უნდა ჩაეწეროს, იმიტომ რომ სხვანაირი წესით მართველობა არ აქვს არც ბურჟუაზიას, არც ნაციონალისტებს. მე მგონია და თქვენი პოლიტიკა უნდა იყოს იმნაირი, თუ თქვენ ხართ ნაც. დემოკ. პარტიისა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ასეთი ზრახვები, ჩვენ სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული, უნდა იყოს აღმოფხვრილი არა კეტით, არამედ თითონ დემოკრატიულ რეჟიმით, უნდა იყოს აღმოფხვრილი, თავისუფლებით. ჩვენ შორის, ბატონებო, აქ არის განსხვავება. და ის ჰყოფს ორ დიდ მიმართულებას. ამიტომ ჩვენ ვერ დაუშვებთ ისეთ მოქმედებას, ისეთ ქცევას, რომელიც აი ამ პრინციპს, ჩვენ ქვეყანაში უთხრის ძირს, ე. ი. ჩვენთვის მთავარი არის ის, რომ ჩვენი დემოკრატიული წყობილება იქმნეს აგებული აქ მცხოვრებთა და ერთა ნებაზე და სურვილზე. მაშასადამე საქართველოს მცხოვრებნი უნდა იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ეს წყობილება, ეს დამოუკიდებლობა აქ არსებობდეს. ეს ესმის ერევნის მთავრობას და აგრეთვე მის ხელმძღვანელ პარტიას და სწორედ სურთ ამას ძირი გამოუთხარონ. თუ მათ შეძლეს საქართველოს საზღვრებში ისეთი ღვარძლის და შურის დათესვა, როგორც მათ შესძლეს ერევნის გუბერნიაში და სხვაგან, თუ ჩვენში დათესეს ისეთივე ნაციონალური შუღლი და ბრძოლა, როგორც იქ, მაშინ ჩვენი დემოკრატიული წყობილება ვეღარ იარსებებს, დაინგრევა დემოკრატიული წყობილება, და თუ დაინგრევა დემოკრატიული წყობილება ჩვენში არ შეიძლება იქმნეს დამოუკიდებელი საქართველო. დიახ, აი ბატონი ვეშაპელი გულახდილი კაცია, მან სთქვა ერთი სიმართლედიახ... (ხმაურობა).

ბატონმა ვეშაპელმა სთქვა, რომ ომის შეჩერება საჭირო იყო იმისთვის, რომ საქართველოშია ახალი ძალები, ახალი მიმდინარეობა, რომელნიც შეებრძოლნენ აქ გაბატონებულ პარტიას, არ აღმოცენებულიყვნენ და ეს ძალა იქნებოდა აი ამ პარტიის გასაძლიერებლად (მ. მაჩაბელი. მშვენიერი იქნებოდა). მაშასადამე, აქედან თქვენ ხედავთ, რომ ამ პარტიას ომის გაგრძელება სდომებია თავის პარტიის გასაძლიერებლად (ტაში). ბატონებო, ეს ითქვა ამ ტრიბუნიდან.

მე ვამბობ, რომ ომის გაგრძელება იმ შემთხვევაში, როცა ჩვენ არ გვქონდა პოლიტიკური პერსპექტივა, მაშინ, როცა ამ ომით აღარ სწყდებოდა ტერიტორიის საკითხი, ამ ომის გაგრძელება ამ შემთხვევაში. ნიშნავს არა ომს, არამედ შურისძიებას, ე. ი. ეს ნიშნავს ურთიერთობის ჟლეტას და დახოცვას და სწორედ ასეთი დახოცვა და ჟლეტა უმიზნოდ ეს შექმნიდა ჩვენში ისეთ ნიადაგს, რომელზედაც აღმოკენდებოდა შუღლი და მტრობა საქართველოს და სომხეთის შორის (გაბაშვი-

ლი: ეს ხომ ჩაანელეთ). ბატონებო, თქვენთვის ეს არ არის საყურადღებო, მაგრამ ჩვენთვის, დემოკრატიისთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამაზედ არის აგებული დემოკრატიული წყობილება. თქვენ იცით, რომ, ჩვენ აუარებელი დეპეშები მოგვივიდა თითონ სომხის ხალხისაგან დუშეთის, თელავის და სიღნაღის მაზრებიდან. ყველა ისინი გულისწყრომას გამოსთქვამენ ერევნის მთავრობის წინააღმდეგ, მოგვივიდა დეპეშები თანაგრძნობისა. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საქართველოში მართლაც რომ იქნება ერთი ფრონტი, საქართველოს ფრონტი, მიუხედავად ეროვნებისა, და აი ჩვენ ამ ფრონტს ვაფასებთ და ამ ფრონტზე უნდა იყოს აგებული ჩვენი დემოკრატიის წყობილება. აი სწორედ, ბატონებო, ეს ფრონტი არ მოგწონთ. აქ არის, როგორც ვთქვი, არის დემოკრატიული, და ამავე დროს, საერთაშორისო ნიადაგი, რომელზედაც სდგას საქართველო, და რომელზედაც აგებულია მთელი ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილება.

აი ეს ფრონტი არ მოსწონთ ნაც. დემოკრატ. ჯგუფს და აქედან არის ჩვენდა მათ შორის მთელი განსხვავება. აქედან თქვენ ხედავთ, რომ ეს ომი არ შეწყვეტილა ან შიშით ან შემთხვევით. გამოდის ისე, რომ მოვიდა ორი ან ხუთი ინგლისელი და მათ წინაშე შევშინდით. არა ბატონებო, ჩვენ შიში არ ვიცით რა არის. ჩვენ გამოცდილნი ვართ.

უფრო ძლიერ დიდ მტერთან გვქონდა საქმე, მაგრამ ჩვენ არ გვქონებია შიში, მაგრამ ჩვენ გვაქვს გონიერება და ერთნაირი პოლიტიკური ანგარიში.

(მაჩაბელი: ჩვენი შიში გაქვთ!).

თქვენი შიში არ გვაქვს სრულიად, ბატონო მაჩაბელო, და ვამბობ, რომ მე ვიცი, რომ ამ ომის შეწყვეტა არა მარტო ამ ფრაქციაში, არამედ ბევრ სხვა წრეებშიაც ერთგვარ გაუგებრობას იწვევს და სწორედ მე ვამბობ, რომ ომის შეწყვეტა გამოწვეულია იმ პოლიტიკურ ანგარიშით, რომლითაც ჩვენ ვხელმძღვანელობთ და არ გვინდა ამ ანგარიშებს ავშორდეთ. ომის შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ ერთ მხრივ ეს ჩვენს დამოუკიდებლობისთვის ხელ საყრელია და, მეორეს მხრივ, ჩვენს დემოკრატიულ წესწყობილებას უფრო და უფრო განამტკიცებს. ომის გაგრძელება ამ პირობებში ნიშნავდა იმას, რომ ჩვენი დამოუკიდებლობა ჩავარდებოდა დიდ საფრთხეში და აქედან ჩვენი დემოკრატიული წყობილება და მთელი ჩვენი დემოკრატია, ასე თუ ისე დასუსტდებოდა. ეს იყო ბატონებო იმათი, დაშნაკელთა ინტერესი, ეს არ იყო ინტერესი არც ჩვენი დემოკრატიისა და არც ინტერესი საქართველოს ხალხისა. (ერ. დემ. სომხებისა!) მე არ ვამბობ, რომ ეს არის ინტერესი სომხებისა. მე ამას არ ვიტყვი. ჩვენში მყოფი სომხების და სხვა ერების ინტერესი არის, რომ ჩვენში იქნეს დემოკრატიული წყობილება შეუბღალავი.

მე მესმის, რომ არიან სომხები, რომელებსაც არ სწამთ ჩვენი, არც დამოუკიდებლობა, არც წყობილება, მაგრამ, შეიძლება, რასაკვირველია, ისეთი სომხები იყვნენ, იქაური სომხებიც, მაგრამ კი უფრო მოსულები. და საქართველოში მცხოვრებ სომხების აზრი ჩვენ მოვისმინეთ სხვა და სხვა ტელეგრამებიდან. (ვეშაპელი: ტარიფი იაფია).

აი ის სომხები, რომელნიც აქ სცხოვრობენ დიდი ხანია და მამაპაპურად ისინი არიან ჩვენ ხალხთან შეერთებულნი და შესისხლხორცებულნი, ისინი არ წამოიღენ ჩვენს წინააღმდეგ. მაგრამ ისინი ბატონებო, ვინც აქ ტფილისში, ძალა უნებურად მოკალათებულნი იყვნენ, აქ სწერდნენ და ეწეოდნენ წინააღმდეგობას, არავითარი კავშირი არ ჰქონდა ამ დემოკრატიასთან. და უნდა ვსთქვათ, რომ საქართველოს საზღვრებში ვერ გამოვა ვერც ერთი გაზეთი, რუსული იქნება თუ სომხური, ან სხვა, რომელიც მტკიცედ არ დადგება საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზე. (ერ. დემ. „სოციალ დემოკრატი“ გამოდის, „Новое Знамя“ გამოდის!). უნდა ვთქვა, რომ ის კრიტიკა, რომელიც ჩვენ დღეს აქ მოვისმინეთ, გამომდინარეობს, არა ჩვენ სახელმწიფოებრივ, და დემოკრატიულ ინტერესებიდან, არამედ, გამომდინარეობს წმინდა ჯგუფურ ინტერესებიდან და მთავრობა ვერ დაადგება ასეთ ჯგუფურ თვალსაზრისს. (ერ.-დემ.: დაადგება!). ის, ბატონებო, დაადგება მაშინ, როცა თქვენი ჯგუფი შეადგენს აქ უმრავლესობას, და ჩაეყოლებათ თქვენი მთავრობა. თუ ეს მოხდა, მაშინ საქართველოს უკანასკნელი ჟამი დადგება (ტაში მემარცხ. ფრთ.). (კედია: მაშინ ვნახოთ!). (გაბაშვილი: მაგასაც ისწავლით!). მე მოგიწოდებთ ყველას ამ კათედრიდან, რომ კითხვა, რომელიც აქ აღმართულია, მეტად სერიოზულია და მან არავითარი გაუგებრობა არ უნდა გამოიწვიოს, როგორც პარლამენტში, ისე ჩვენ ხალხში. ყველა ის, ვინც სდგას დემოკრატიულ ნიადაგზე, ყველა იმან უნდა იცოდეს, რომ, რაც ჩვენ ვქენით, ეს იყო ერთად ერთი გამოსავალი, და საშუალება, რომლითაც შევეძლო დაგვემტკიცებინა, როგორც ჩვენი დემოკრატიული წყობილება, ისე ჩვენი დამოუკიდებლობა (მხურვალე ტაში მემარც. ფრ.).

მიწათ-მოქმედების სამინისტროში

საბაღოსნო სკოლის გადატანა.

სასოფლო სამეურნეო და სახელმწიფო ქონებათა ნაწილის უკანასკნელ კრებაზე მოსმენილ იქმნა, თუ რა დანიშნულება მიეცეს მ. ვ. ორბელიანის მამულს ზომით 51 დესეტინა მიწას, რომელიც მდებარეობს გორის მაზრის სოფ. ლამის ყანაში და 4 მიწის ნაჭრათაა დაყოფილი. კრებამ დაადგინა: ეთხოვოს მიწათ მოქმედების მინისტრს დანიშნოს კომისია, რომელიც ამ მოკლე ხანში უნდა გაემგზავროს ლამის ყანაში და ადგილობრივ გამოარკვიოს თუ რამდენათ გამოსადეგარია ეს ტერიტორია, რომელზედაც განზრახულია ტფ. საბაღოსნო სკოლის გადატანა. კომისიაში არჩეულ იქმნენ მიწ. მოქმ. მინისტრის საბჭოს წევრნი ს. ნ. ტიმოფეევი, ს. მ. ქარცივაძე და აგრონომი ელ. კარბელაშვილი.

შინაგან საქმეთა სამინისტროში

რწმუნებულის მოხსენება.

გუშინ შინაგან საქმეთა მინისტრს წარუდგა ჯავახეთიდან დაბრუნებული მინისტრის რწმუნებული ლტოლვილთა საქმეებზე ალ. ს. ლორთქიფანიძე, რომელმაც ვრცელი მოხსენება წარუდგინა მინისტრს. როგორც მის მოხსენებიდანა სჩანს, 29 ნოემბრიდან 4 იანვრამდე გადაყვანილ იქმნენ ბორჯომიდან ახალციხეში ათი ათას სულზე მეტი ლტოლვილნი სამასი ურმით და მათი გადაყვანა დამჯდარა 90,000 მანეთი. ახალციხეში მის ხელმძღვანელობით შემდგარა ცენტრალური კომიტეტი, რომელიც განურჩევლად ეროვნებისა ყველას უწევს დახმარებას. კომიტეტის თავმჯდომარეთ ექიმი გულისაშვილია. ყოველ დღე კომიტეტი ჰკვებავს 3500 სულს, ამ რიცხვში სომხები შეადგენენ 2500 სულს, დანარჩენი ქართველები არიან. დღევანდლამდე ლტოლვილებზე დაუხარჯავს ბ. ლორთქიფანიძეს 18 ათასი მან. და მისი გამოანგარიშებით ყველა იმ ლტოლვილების გადაყვანა, რომლებიც იმყოფებიან ახალციხეში და ბორჯომში გამოკვებით დაჯდება 500,000 მან. და უფრო მეტიც.

ლტოლვილთ შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაუგზავნა ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიების, სოხუმისა და სოჭის ოლქებისა და ტფილისის ქალაქის მილიციის უფროსს შემდეგი ცირკულიარი: „ვინაიდან, მთავრობის დადგენილების თანახმათ, ბათომის ოლქიდან ლტოლვილთ ნება მიეცა უკან დაბრუნებისა თავის კარმიდამოში, რის შესახებ განკარგულება მიეცა რკინის გზის გენერალ გუბერნატორს დაუბრკოლებლათ ლტოლვილთა გაშვების შესახებ, კანცელარია თანახმად მინისტრის მონდობილობისა, გთხოვთ მოახდინოთ სათანადო განკარგულება ყველა სამაზრო, სასოფლო და სხვ. კომისართა და ადმინისტრაციის თანამდებობის პირთა მიმართ, რათა ლტოლვილნი გაშვებულ იქნენ აღნიშნულ ოლქში იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ მხოლოდ სოფლის კომისრების მოწმობები ექნებათ, რითაც დადასტურებულ იქნება მათი ვინაობა.

არჩევნების გარშემო.

მდივნის მოწვევა.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დამფუძნებელ კრების მომავალ არჩევნების სახელმძღვანელოთ ქალაქის საბჭოს მდივანი ვ. თ. ხახანაშვილი მიიწვია.

ერობათა საარჩევნო სიები.

დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ ერობების გამგეობათ განმარტება მისცა იმის შესახებ, რომ მათ დამფუძნებელ კრების საარჩევნოთ ისარგებლონ იმ ამომრჩეველთა სიებით, რომლებიც შედგენილი ჰქონდათ ერობის საარჩევნოთ სათანადო შესწორების შეტანით.

ხმოსანთა არჩევნები ტფილისში.

ქალაქის სასჭოს ხმოსანთა ამომრჩევლების გადაწერა ტფილისში უკვე დამთავრდა. საბჭოს საარჩევნო კომისიის ბიურო ამომრჩეველთა სიების შედგენას შეუდგა. გადაწერის წინასწარ შედგენილ ჯამიდგან სჩანს, რომ ამომრჩევნების სიაში სულ 65,000—მდე ამომრჩეველნი უნდა იქნეს მოქცეული.

ქალაქის არჩევნების შესახებ.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო კომისიის ბიუროში სისწრაფით სწარმოებს მუშაობა ხმოსანთა ამომრჩეველთა სიების შედგენისა. ამ სიებს ბიურო ადგენს ორ ენაზე: სახელმწიფო ქართულ და რუსულ ენაზე. არჩევნების ხელმძღვანელის ვ. თ. ხახანაშვილის აზრით ამ სიების სომხურ ენაზედაც შედგენა ყოვლად შეუძლებელია, თუმცა ამის შესახებ ქალაქის საბჭოს მიცემული აქვს წინადადება. ამის მიზეზი ის არის, რომ არჩევნებამდე ცოტა დრო რჩება ეს ერთი, და მეორე ისა, რომ ბიურომ ვერ იშოვნა სიების გადასაწერათ სომხურ ენაზე გადასაწერი მანქანები, თუმცა ამის შესახებ თხოვნით მან მიმართა სომხების ყველა დაწესებულებაში და მათ შორის სომხების ნაც. საბჭოში. ბიურომ აქამდე არამც თუ არც ერთი სომხურ ენის შრიფტით გადასაწერი მანქანა ვერ იშოვა, არამედ მის თხოვნაზე ფასით გადმომთარგმნელების გამოგზავნის შესახებ არც ერთმა სომეხთა კულტურულ დაწესებულებამ პასუხიც კი არ აღირსა.

ქალაქის საბჭოს ხმოსანთა საარჩევნო კომისია იმედიანობს თებერვლის პირველ ნახევარში დაამთავროს ხმოსანთა არჩევნები და იმ თვის 20 რიცხვში შესაძლოა შესდგეს ქალაქის ახალი საბჭოს კრება.

ფოთი

ქალაქის ბარაკი გადამდებ სენით ავადმყოფთათვის გადიდებულ იქმნა 25 საწოლიდან 50 საწოლამდის. ეს რიცხვი არ კმარა ვინაიდან ავადმყოფთა რაოდენობა დღითიდღე მატულობს. ძალიან გავრცელებულია ჩამოსულ ქართველ სამხედრო ტყვეებში და ლტოლვილებში სახადი. არც შინაგან საქმეთა სამინისტროს ლტოლვილთათვის და არც სამხედრო უწყების საჭიროებისათვის არა აქვთ თავისი ბარაკები. თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული ამ უწყებების მიერ, გადამდები ავადმყოფობანი კიდევ უფრო გაძლიერდება, ვინაიდან ქალაქს მეტი სახსარი არ მოეპოვება, რათა კიდევ გააფართოვოს ბარაკი.

3 იანვარს, ღამე ჩამოვიდა ინგლისელთა რაზმი 600 კაცისაგან შემდგარი. მოელიან კიდევ ახალ რაზმებს. რაზმი ტფილის მიემგზავრება.

ოზურგეთი.

ოზურგეთის სამაზრო ერობასთან შესდგა მეომართა დამხმარე კომიტეტი. ასეთივე კომიტეტები დაარსდა გურიის ყველა სოფელში, ქალაქებში, დაბებში. თავდაცვის დღეთ გამოცხადებულია 5 იანვარი. ამ დღეს გაიმართება მიტინგები, ილაპარაკებენ თავდაცვის საჭიროებაზე და მის სახელმწიფოებრივ მნიშვნელობაზე. მოკრეფენ შემოწირულებას, ფულით, ნივთიებით და სურსათით, რომლებსაც მეომართ ფრონტზე გაუგზავნიან ერობის განსაკუთრებით დელეგაციის სახელით.

გურიაში მომუშავე ქართველ მაჰმადიანთა განმათავისუფლებელი კომიტეტის მოღვაწეობამ დიდი ნაყოფი გამოიღო. ქრისტიან მაჰმადიან ქართველთა კავშირის იდეა მტკიცე ნიადაგს პოულობს ქობულეთსა და აჭარაში. ყოველ დღე მოდის ცნობები მაჰმადიან ქართველთა ამ ნიადაგზე დადგომის შესახებ. ამ დღეებში ქობულეთში დიდი ცვლილება მოხდა. მთავრობის სათავეში მოექცნენ ამ იდეის მატარებელნი. ამასვე მოელიან სხვა დაბა-ქალაქებში.

დროებითი ზავს გურია დამშვიდებით შეხვდა. ის უზომოდ ენდობა რესპუბლიკის მთავრობას და მტკიცედ სწამს, რომ აუცილებლობით ნაკარნახევ დროებით ზავს მთავრობა ფრონტის გასამაგრებლად გამოიყენებს, რათა ამით კიდევ უფრო უზრუნველჰყოს საქართველოს დამოუკიდებლობა. ამ რწმენით ხალხი მთავრობასთან არის.

ბათუმი.

გუშინ დასრულდა ინგლისელების მიერ ბათუმის დაწესებულებათა ჩაბარება. ხელმძღვანელ ორგანოდ გენერალ-გუბერნატორმა დაარსა თავისთან საბჭო, რომელშიაც მიიწვია 2 ქართველი, 2 რუსი, დანარჩენი ერების მან თითო წარმომადგენელი და ქართველ მაჰმადიანებისაგანაც ერთი, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ქართველებში საერთოდ. მოხდა ამის გამო ქართველებში მიტინგი და ბათუმში—ყრილობა პროტესტთან ერთად დაადგინეს ეთხოვოს გენერალ-გუბერნატორს ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენელთა რიცხვის გამრავლება. ამავე საქმის შესახებ ქალაქის საბჭომ დაადგინა ეთხოვოს გენერალ-გუბერნატორს, რომ ქალაქის საბჭოს წევრები ეროვნულ საბჭოს მიერ იყვნენ არჩეულნი და არა დანიშნულნი. ქალაქის თვითმართველობა მოკლე ხანში შეუდგება არჩევნებისათვის მზადებას. მიღებულია დროებითი მთავრობის დებულება ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევნისა. გამგეობას ერთი თვის ვადა მიეცა ამომრჩეველთა სიების შესადგენად. საჭიროა ამ ვადისათვის ვისაც კი შეუძლიან ჩამოსვლა, ჩამოვიდეს. წასვლა-მოსვლის [illegible] შეიცვალა და ყველასათვის გა[illegible]

თავდაცვის ფონდი

საქართველოს რესპუბლიკის მეომართა დამხმარე კომიტეტში შემოვიდა შემოწირულება ფულით:

ქალთა მე-II გიმნაზიის ქართველ მასწავლებელთაგან—685 მ. ამავე გიმნაზიის თანხიდან—500 მან; ამავე გიმნაზიის მოწაფეთაგან—897 მ. 61 კ. პედაგოგიურ პერსონალისაგან—88 მ. 50 კ., რეალურ სასწავლებლის მასწავლებელთაგან—795 მ. 20 კ., ქალთა მე-VII გიმნაზიის მოწაფეთაგან—367 მ. 20 კ., ქალთა I გიმნაზიის მასწავლებელთაგან—506 მ. 80 კ., ქალთა I გიმნაზიის მოწაფეთაგან—519 მ. 5 კ. ვაჟთა მე-V გიმნაზიისგან—342 მ. 60 კ., ვაჟთა I გიმნაზიის მოსამზადებელ კლასის უმცროს განყოფილების მოწაფეთაგან: I პავლე გიორგაძისგან შეკრებილი ამხანაგთა შორის—120 მ. 19 კ., გიორგი გოგელიასაგან შეკრებილი ნათესავს და ნაცნობებში—150 მ., არჩილ არეშიძისგან—ნაცნობთ და ნათესავთ შორის—50 მ. 1 კ., ვიქტორ ხომერიკისგან ნათესავებში შეგროვილი—17 მ. 10 კ., ლევან ქარცივაძისგან შეგროვილი 12 მ. 50 კ., სულ 349 მ. 80 კ., თინათინ ფურაქიშვილისგან—250 მ., საქალაქო კუკიის მე 5თ-ე სკოლის მშობელთა და მასწავლებელთაგან—107 მ. ვერის მეორე საქალაქო სასწავლებლის მშობელთა და მოწაფეთაგან—33 მ. 80 კ., ჩერქეზიშვილის სახელობის სკოლის მშობელთა და მოწაფეთაგან—38 მ., კაპიტან გიორგაძისა და ვლადიმერ ლომინაძისაგან შეგროვილი 10 მ. ვერცხლისა და 15 მ. 30 კ. სპილენძის ფული., კაპიტან გიორგაძისა და ვლადიმერ ლომინაძის მიერ შეგროვილი—2487 მ. ანა და ივანე ზედგინიძეებისაგან—50 მ. ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლის მოწაფეთა და მასწავლებელთაგან 65 მ., ვაჟთა მე-V გიმნაზიის მასწავლებლებისაგან 300 მ., ქალთა მე-II გიმნაზიაში შეგროვილი 1465 მ. და 55 კ. საქ. მეომართა დამხმარე კომიტეტი უღრმეს მადლობას უცხადებს შემომწირველთ.

თავდაცვის ფონდისათვის მიღებული შემოწირულება ამიერ-კავკასიის ბანკში

ნათიშვილი იოსებ—25 მ., ამირეჯიბი ე. კ.—10 მ., ბარკალაია მიტრაფანე ანდრიას ძე—50 მ., გოთოშია პეტრე ეგნატეს ძე—1000 მ მისგანვე: პაპიროსი 300 ცალი, თამბაქო 1 გირვანქა, პაპიროსის ქაღალდი, 12 წიგნაკი და წუწუმა 10 კოლოფი., ღვინის მოვაჭრე ამხანაგობა (სალხინო)—1200 მ., ნინიძე იოსებ მაქსიმეს ძე 400 მ., ქორქია ალექსანდრე—100 მ., ბაქრაძე გიორგი ივანეს ძე 50 მ. იოსავა ანდრონიკე—100 მ., რესტორან „პეტროგრადის ამხანაგობა“—500 მ., კობიძე პავლე გლახუას ძე 300 მ., ამიერ-კავკასიის ბანკი—100000 მ., წინათ შემოსული და გაზეთში გამოცხადებული 15356 მ. ჯამი 119091. მან.

ბანკის რწმუნებული ი. თურქია.
განყოფილების გამგე კ. მხეიძე.

შეცდომის გასწორება.

ბ. ევ. გეგეჭკორის მოხსენებაში,—პირველ სვეტში, ზემოდან მე-21 სტრიქონზე სწერია: „მთელი შინაარსი მთავრობის მუშაობისა მოხსენებულ დროს ტრიალებდა ამ ორ მოვლენის გარეშე“ უნდა იყოს: „ამ ორ მოვლენის გარშემო“. ამავე მოხსენებაში მეექვსე სვეტში, ქვემოდან მე-19 და 20 სტრიქონზე სწერია: „ამნაირათ, ის ამოცანა რომელიც საქართველოს მთავრობის წინაშე დასმული და გადაწყვეტილი, დამამტკიცებელია ომისა, რომ მას მართლაც, ხელთ არ უპყრია კარგათ მოწყობილი, კარგათ მომქმედი და გამოცდილი სახელმწიფოებრივი აპარატი“. უნდა იყოს: „ამნაირათ, ის ამოცანა, რომელიც დასმულია საქართველოს მთავრობის წინაშე და გადაწყვეტილი, დამამტკიცებელია იმისა, რომ მას მართლაც ხელთ უპყრია კარგათ მოწყობილი, კარგათ მომქმედი და გამოცდილი სახელმწიფოებრივი აპარატი“.

დღეს ჩვენ გაზეთს, № 5, დართული აქვს ოფიციალური განყოფილების დამატება: „დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა“.

საყურადღებოთ ვაცხადებთ, რომ ეს დამატება უფასოა.

უქმეების გამო ჩვენი გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევისთვის.

ახალციხე

გლეხთა ყრილობის მე-2 დღე.

კრება გაიხსნა 2 იანვარს 12 საათზე ყადირ-ალი-ოღლი გვარამაძის თავმჯდომარეობით. დღის წესრიგში 1 კითხვათ სდგას სამაჰმადიანო საქართველოს განთავისუფლების საკითხი. თეატრის დარბაზი სავსეა ხალხით. გლეხ-დელეგატები ამ კითხვისადმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენენ. ჯერ სანამ სხდომა დაიწყებოდეს ჯგუფ-ჯგუფათ სდგანან დარბაზში და ცხარე კამათი აქვთ. ყველა გმობს ბეგების პოლიტიკას, წყევლა-კრულვით იხსენიებენ მათ ბატონობას და სამაჰმადიანო საქართველოს შემოერთების საკითხი გადაწყვეტილათ მიაჩნიათ. 12 საათზე ყადირ-ალი-ოღლი გვარამაძე ხსნის კრებას. მოხუცი თავმჯდომარე, სთხოვს დამსწრე დელეგატებს მეტი ყურადღებით მოეპყრან იმ დიდ კითხვას, რომელსაც შეუძლიან ჩვენი ისევ საუკუნოების განმავლობაში დამონავება, თუ ის დემოკრატიის სასარგებლოთ არ გადაწყდა.

პირველ მომხსენებლათ გამოდის სამაჰმადიანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტის წარმომადგენელი ყადირ შერვაშიძე, მოკლეთ, მარა შინაარსიანათ ახასიათებს სამაჰმადიანო საქართველოს ტრაგიკულ მდგომარეობას, უხატავს გლეხებს იმ საშინელ სიბნელის და დაბეჩავების შედეგებს, რომელიც მათ გასაქანს არ აძლევს.

ადარებს საქართველოს რესპუბლიკას მეზობელ ბურჟუაზიულ და რეაქციონურ ქვეყნებს და ამბობს, რომ თუ სამაჰმადიანო საქართველოს სურს განთავისუფლება მონობისგან. თუ გლეხკაცობას უნდა [illegible] ის ბედნიერება, რაც წილათ [illegible] საქართველოს ხალხს, მაშინ ქართველ მ[illegible] [illegible] უნდა მოაშოროს მის დამ[illegible] [illegible] ზურგი უნდა აუქციოს [illegible] რებს და ბეგებს და ხელი [illegible] გაუწოდოს ქართველს, სადაც საქართველოს დემოკრატიის გული სძგერს, სადაც ხალხი თვით არის თავისი თავის ბატონ-პატრონი (ორატორს გლეხები ხშირად აწყვეტინებენ სიტყვა ტაშის კვრით. ყოველ წუთს გაისმის ხმები „მართალია, მართალია“. ბევრი მათგანი ცრემლებს იწმენდდა).

შერვაშიძის შემდეგ გამოდის ჰაიდარ აბაშიძე, რომელიც თავის გრძელ სიტყვაში ყოველ მხრივათ ასაბუთებს სამაჰმადიანო საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებში დარჩენის აუცილებლობას. მისმა შინაარსიანმა სიტყვამ ყრილობის ოვაციები დაიმსახურა, თვით გლეხთა ტაშის კვრას საზღვარი არ ჰქონდა.

ქრონიკა

○ 10 იანვრიდან დანიშნულია ორი პლაცკარტიანი მატარებელი № 9—10 ტფილისიდან ქუთაისამდე და № 11—12 ქუთაისიდან ტფილისამდე. პლაცკარტიანი მატარებელი № 5—6 ფოთამდე აღარ ივლის.

○ კვირას, 5 იანვარს, ტფილისში ჩამოვიდა ქიზიყელთა რაზმი, რომელიც გენ. გუბერნატორის განკარგულებაში დარჩება.

○ ერევნიდან ტფილ. ჩამოვიდნენ საგანგებო მისიის სახით სომხეთის პარლამენტის წევრნი: გ. ტერ. ხაჩატურიანცი, ა. ხონთქარიანცი, ს. ხაჩატურიანცი და ს. მამიკონიანცი.

○ კვირას, 5 იანვარს, სხვა და სხვა უბანში დააპატიმრეს სამი ათასი სომეხი, ყველანი მოაგროვეს სომხების სემინარიის შენობაში. ვისაც ჰქონდა ტფ. გენ.-გუბერნატორის ტფილისში ცხოვრების ნებართვა გაანთავისუფლეს, დანარჩენებს, გზავნიან ქუთაისის გუბერნიაში, უმთავრესათ იჭერდენ 18 წლიდან 45 წლამდე სამხედრო ტყვეებს.

○ კვირას, 5 ივარს, ტფილისში ხმები გავრცელდა ვითომც სომხები კვლავ დაეცნენ ჩვენს სანაპირო ჯარს და დროებით მშვიდობა დაარღვიესო. საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო შტაბი ამით აცხადებს, რომ ეს ხმები სიმართლეს არ შეეფერება.

○ 1919 წლის 14 იანვრიდან ქართული სამუსიკო საზოგადოების ქ. ქუთაისის განყოფილება ხსნის ქ. ქუთაისში სამუსიკო სასწავლებელს. სასწავლებლის გამგეთ მოწვეულია კომპოზიტორი მ. ბალანჩივაძე. წლიური გადასახადი დანიშნულია 200 მან. ნახევარი წლ. 100 მ.

○ 3 იანვარს საღამოს 8 საათზე ბოტკინის ფურნეში (ელისაბედის ქ. № 113) რამდენიმე შეიარაღებული პირი შეიჭრა და სიკვდილის მუქარით წაიღო 1000 მ. და ამ დროს იქ მყოფ მუშტრისაგან 25 ათასი მან.

○ ამავე დღეს ა. პაიჭიანცის ფურნიდან (ჩერქეზიშვილის ქ. № 55) ბოროტმოქმედებმა 1500 მ. წაიღეს.

○ 4 იანვარს ა. მუსერიძის სახლიდან 4000 მ. სხვა და სხვა ნივთები მოიპარეს.

ქუთაისი

○ შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გადასახლებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის საზღვრებიდან ანანოვის მამულის მოურავი ტერ-გრიგორიანცი, რომელსაც ბრალდება მუშებსა და გლეხებ შორის სამიწათ-მოქმედო სამინისტროს საწინააღმდეგო მოქმედება.

○ საგუბერნიო გადმოხვეწილთა კომიტეტებმა თავის უკანასკნელ სხდომაზე დაადგინეს გააუქმონ ქუთაისის გუბერნიაში არსებული გადმოხვეწილთა ყველა კომიტეტები ფულის უქონლობის გამო და მოსთხოვოს მათ მიღებული ფულის სრული ანგარიშების წარმოდგენა ერთ კვირაში; ვინაიდან ზოგიერთებმა ასეთი ანგარიში არ წარმოადგინეს დანიშნულ ვადაში—კომიტეტმა დაადგინა: მიმართოს ოლქის სასამართლოს ბრალმდებელს იმ კომიტეტების სამართალში მისაცემათ, ვისაც ანგარიში არ წარმოუდგენიათ.

○ ვაჭარ-მრეწველთა საბჭომ ომში მოკლულ პოდპოლკოვნიკ ანდრია დადიანის ხსოვნის აღსანიშნავად ნაცვლად გვირგვინისა ომში დაღუპულთა ობლების სასარგებლოთ 500 მანეთი გადასდო.

○ გუბერნიის კომისარმა აცნობა ვაჭარ-მრეწველთა საბჭოს, რომ ზოგი ვაჭართაგანი არ იხდის სამილიციო გადასახადს, რომელიც მათზე არის გაწერილი. ამიტომ წინადადებას გაძლევთ სამი დღის განმავლობაში იქნეს ხსენებული გადასახადი გადახდილი. წინააღმდეგ შემთხვევაში მიღებული იქნება სასტიკი ზომები.

○ 26 დეკემბერს შესდგა არჩილის გორა-[illegible] სასურსათო საუბ[illegible]ს ასარჩევათ საზოგადო კრება. კ[illegible] [illegible] ქალაქის სასურსათო კომიტ[illegible] წარმომადგენელი, რომელმაც განუმარტ[illegible] კრებას თუ რა დანიშნულება ექნება საუბ[illegible] სასურსათო კომიტეტს. ბოლოს არჩეული [illegible] პირები: დ. ბუაძე, ვ. ლორთქიფანიძე და მ. შარაბიძე.

○ სამაზრო საადგილ მამულო გამგეობა ამით აცხადებს ყველა რაიონის საზოგადოებების მცხოვრებთა საყურადღებოთ, რომ ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის წარმომადგენლები, რომელთაც დავალებული აქვთ ლალის აკრეფა, აქვს ყველას ბეჭედ დასმული მანდატები. უმანდატო პირებს არ მისცენ ლალა, და თუ ვინმე გამოჩნდება უმანდატო პირები, რომელნიც ლალას თხოულობენ, ასეთი პირების ვინაობის შესახებ საჩქაროთ აცნობონ ადგილობრივ კომისრებს.

○ გუბერნიის კომისარმა წინადადება მისცა მაზრის კომისრებს და მილიციის უფროსებს ქუთაისის გუბერნიაში, რომ დაითხოვონ მილიციაში მოსამსახურე მცირე წლოვანი და მოსწავლე ახალ-გაზრდები. ამასთანავე გაცნობებთ შემდეგისთვის სახელმძღვანელოთ და შესასრულებლათ, რომ მილიციონერებათ მიიღებიან მხოლოთ არა ნაკლები 20 წლისა. რაც შეეხება მოსწავლე ახალგაზრდობას და სტუდენტობას, მათი მილიციაში ჩარიცხვა ყოვლად შეუძლებელია.

○ გუბერნიის კომისარმა განკარგულება დაუგზავნა მაზრის კომისრებს, რომ თავიანთ მაზრებში ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ ცენტრალურ სასურსათო კომიტეტის რწმუნებულებს ლალის შეკრებაში.

○ გუბერნიის კომისარის განკარგულებით დათხოვნილ იქნა სვირის საზოგადოების კომისარი აბესაძე. მის ნაცვლად დაინიშნა შათირიშვილი.

○ სოფ. ცწერში (ლეჩხუმი) კერძო ნიადაგზე მოხდა ჩხუბი მილიციონერ გ. გერდიანს და მურზა კიშტანს შორის. ამ ჩხუბის დროს ერთმა მეორე ტყვიით მოჰკლა.

○ ორპირის ქუჩაზე ლექვინაძის შესახვევში ბოროტ-განზრახველები თავს დაესხნენ ერისტო ჯიმშელეიშვილს და წაართვეს ფულათ 500 მ. და ორი ბეჭედი. ამის გამო სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა კოლია მიქაბერიძე რომელიც გამოტყდა დანაშაულობაში.

○ გუბერნიის კომისარის განკარგულებით სამსახურიდან დათხოვნილი იქნა ბაღდადის რაიონის კომისარი წერეთელი. მის ნაცვლად დაინიშნა ონის კომისარი ასათიანი.

○ სოფ. პატრიკეთში გაძარცვეს მათე ბაზაძე და წაიღეს საოჯახო ნივთები 4000 მანეთისა.

○ ტაბაკელას მთაზე ბოროტ-განზრახველებმა მოჰკლეს სოფ. ჟუშვის მცხოვრები მელიტონ კიკაბიძე. მკვლელის აღმოსაჩენად მიღებულია ზომები.

○ ვ. ურუშაძე, რომელიც ტყვიბულში იყო წასული სხვა და სხვა საქმეების გამო, უკვე დაბრუნდა და შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. მისი გადმოცემით ტყვიბულის მაღაროებში ამ მოკლე ხანში განახლდება მუშაობა, ვინაიდგან მუშების სადგომი შინები ძლიერ დაზიანებული არის. ამიტომ ამ პირველ ხანებში მიიღებენ მხოლოდ 900 მუშას, რომელთათვის სადგომი ბინა მზათ არის. მუშებს მიიღებენ ბირჟის საშუალებით.

○ სენაკის სამაზრო საერობო გამგეობა ატყობინებს ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობას, რომ იქ მძვინვარებს საქონლის ჭირი და სთხოვს მიაწოდონ შრატი. ქუთაისის სამაზრო საერობო გამგეობამ უკვე გაუგზავნა შრატი.

○ ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობამ მიიღო ნავთი. ამის გამო ერობის გამგეობამ დაუგზავნა მოწერილობა ყველა რაიონის კომისრებს, რომ შეატყობინონ საზოგადოებებს, რომ ვინც წარმოადგენს ფუთ სიმინდს მას მიეცემა 8 გირ. ნავთი. ამ რიგათ მოხდება ნავთის დარიგება. ნავთი იმდენი არის მოსული, რომ ყველას ეყოფა.

○ როგორც მკითხველებს მოეხსენებათ ქუთაისში გამრავლდა კოოპერატივები. ბევრი მათგანი არა სდგას თავისი სიმაღლეზე, არ არის დაცული პრინციპი წმინდა კოოპერატიული. ამის გამო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის ქუთაისის განყოფილების წარმომადგენელნი შეუდგნენ რევიზიას ხსენებულ კოოპერატივებში.

○ საოლქო სასამართლომ 25 დეკემბრის სხდომაზე გაარჩია სისხლის სამართლის საქმეები. ვასილ გაბუნიას და ვასილ მალიკაშვილს ბრალდებოდათ ქურდობა და სასამართლომ მიუსაჯა 8 თვის ციხე. არსენ სირაძე, რომელსაც ბრალდებოდა ქურდობა, სასამართლომ მიუსაჯა 2 თვის ციხე. ევგენი კეთილაძეს ბრალდებოდა კაცის დაჭრა, მიუსაჯეს ლიოსების ახდა და ერთი წლით გამასწორებელ რაზმში გაგზავნა. სერაპიონ ჩიხურიძეს ბრალდებოდა ნაქურდალის შენახვა, სასამართლომ ეს უკანასკნელი გაამართლა.

○ 24 დეკემბერს ქ. სამტრედიიდან ჩამოვიდნენ საგანგებო სასამართლოს წევრები ამხ. პავლე წულაია, ევგენი ძიძიგური და მიტროფანე ჯანელიძე (ყოფილი სამტრედიის ტრიბუნალის შემადგენლობა), რომელნიც წარუდგნენ საგანგებო სასამართლოს თავმჯდომარეს და მთელი საქმეები სამტრედიის ტრიბუნალის ჩააბარეს სასამართლოს ბრალმდებელს ბ. მათვეევს, რომელმაც განაცხადა, რომ ის რიგს გარეშე გასარჩევათ წარუდგენს სასამართლოს სხრიოვავას ხეტყის ქარხნის ხეების საქმეებს.

○ „კოოპერაციის“ გამგეობამ თავის უკანასკნელ კრებაზე გადასწყვიტა, რომ ქუთაისში არსებული წვრილი კოოპერატივები, რომელთაც ძლიერ უპირო დამოუკიდებლათ არსებობა, აი ასეთი კოოპერატივები მიიღონ თავიანთი ფრთის ქვეშ და ამით შემოიკრიბოს უფრო მეტი მომხმარებლები „კოოპერაციის“ გარშემო. ამ მიზნით გამგეობამ სასურველათ სცნო თავის ფრთის ქვეშ მიიღოს კოოპერატივი „ნუგეში“.

განცხადებანი

ალახვერან მეველა, იგივე ჯანათ ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა სიმტკიცის მოწმობა შედგენილი ტფილისის ნოტარიუს ა. მიტკევიჩთან 1914 წ. ნოემბრის 4-ს, რესტრი № 23994. მოწმობა აღნიშნულია ტფ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1915 წ თებერვლის 10-ს, № 283. 3—1240—1

ალექსი ქაიხოსროს ძე ციხისელი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა (кредит. удостов.), 1429 მან. და 38 კ. № 38, რაც გაბათილებულათ უნდა ჩაითვალოს. 1245 3—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელ განყოფილების სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 1919 იანვრის 11-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა დავით ალექსანდრეს ძე სოლოლოვის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს პირსაბანს და შეფასებულია 350 მან. ვაჭრობა მოხდება სოლოლოვის ბინაზე, მეძევაია ქ. № 18. მეორე უბანში.
9 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ სოხუმის მომრიგებელ მოსამართლის 11 ნოემბრის მოწერილობის თანახმად, ყადაღა, რომელიც ითვლებოდა ელათი ერისტოს ასულის პაევსკაიას ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო 1918 წ. ყადაღათა კრებულში მე-34 №-ით, გაუქმებულია 1918 წ. ყადაღათა კრებული № 90. 1-1-1210

ქუთაისის სამაზრო განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს [illegible] პეტრე ანდრიას ძე ცერენძის მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება ცირენძის ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1192. 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ყადაღა, რომელიც დადებული იყო მაქსიმე ივანეს ძე ვეზელის უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო ქ. სოხუმის 1905 წ. ყადაღათა კრებულში მე-78 №-ით, ამა წლის ნოემბრის 7-ს გაუქმდა. 1—1—1213

ილია თედორეს ძე ავალიძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა უვადო პასპორტები ერთი ცოლის და ერთი თავისი. და ამხ. „ზინგერიდან“ მიცემული ანგარიში. მპოვნელს სთხოვენ მიაწოდინოს შემდეგი მისამართით: მე-7 კომისარიატი, მახათის შესახვევი. სახლი № 14 ავალიძეს. 1243. 3—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 11-ს დამტკიცებულია, ამა წლის აგვისტოს 2-ს შედგენილი ნასყიდობის სიგელი, რომლითაც კონსტანტინე ნიკოლოზის ძე მდივანმა და კონსტანტინე ივანეს ძე ბოდოკიამ 2000 მ. მ ჰყიდა ერმოლოზ თეიმურაზის ძე [illegible]ხინიძეს მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუთაისში, ალექსანდრეს მესამე ქუჩაზე, ზომით: აღმოსავ.—5, 95 საჟ., ჩრდ.—5, 57 საჟ., აღმ. 2,20 საჟ. და დასავლ. 12,16 საჟ. სიმტკიცის გადასახადათ მიღებულია 80 მან. მთავარი მონაწერი 10 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 11.
1188 1—1

ქუთაისის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი ამით აცხადებს, რომ 1918 წ. ნოემბრის 22-ს დამტკიცებულია, ამა წლის [illegible]მბრის 15 შედგენილი, ნასყიდობის სიგელი, რომლითაც გრიგოლ ზაქარიას ძე ბერუ[illegible] [illegible] მან. მიჰყიდა სავლე გიგოს ძე [illegible] მიწის ნაჭერი შენობებით ქ. ქუ[illegible] [illegible] შესახვევი, (ლევაშოვის ქუ[illegible] [illegible] 52,40 ოთხკ. საჟ. სიმტკიცის გა[illegible] მიღებულია 1200 მან. მთავარი მონაწერი 190 მან. ღირებულების საღერბო ქაღალდზე მიცემულია ამა წლის ნოემბრის 22.
1190 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ყადაღა, რომელიც დადებული იყო დიმიტრი პავლეს ძე ნადარეიშვილის უძრავ ქონებაზე და რომელიც აღნიშნული იყო 1896 წ. ყადაღათა კრებულში მე-45 №-ით, 7 ნოემბერს გაუქმდა. 1918 წ. ყადაღათა კრებ. № 84. 1212 1—1

ქ. ტფილისის მესამე მომრიგებელ განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ მატრონა პეტრეს ასულის სოლუხოვას მემკვიდრეებს, რათა მათ განაცხადონ თავისი უფლება სოლუხოვას ქონებაზე სამ. კან. კრებ. X ტ. I ნაწ. 1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 1181 3—1

ქ. ტფილისის პირველი მომრიგებელი განყოფილების სასამართლოს ბოქაული ვ. ა. ზამოისკი ამით აცხადებს, რომ 1919 წ. იანვრის 9-ს, დილის 10 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ივანე ალექსანდრეს ძე მინდიევის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეიცავს სპარსულ ნოხს და შეფასებულია 250 მან.

ვაჭრობა მოხდება მინდიევის ბინაზე, კობის ტუპიკი, № 11.
8 1—1

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბოქაული ბეზკროვნი აცხადებს, რომ 1919 წლის თებერვლის 13, დილის 10 საათზე, ამავე სასამართლოს შენობაში მის მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მარიამ იოსების ასულის აბრამოვიჩის უძრავ ქონებაზე, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისში მე-12 უბანში, პროექტიროვანი ქუჩაზე, და შეიცავს მიწის ნაჭერს, ზომით 540 ოთხკ. საჟ. საზღვრები: აღმოს.—რკინის გზის კედელი, დასავლ.—პროექტიროვანი ქ. ჩრდ.—ვეტცელის მიწა და სამხრეთით—კზირსკის მიწა. მამული იყიდება ევგენი იაკობის ძის ზემელის დასაკმაყოფილებლათ, რომლისაც ადამოვიჩს მართებს 4000 მან. % ით და ხარჯები 82 მან. 20 კ. მამული შეფასებულია 4,200 მან. ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა საწინდარი, ერთი მეათედი მამულის ფასისა მამულის აწერილობის და ყველა საბუთების ნახვა შეიძლება სასამართლოს კანცელარიაში. 1160 1—1

საქართველოს მთავრობისა სტამბა
რედაქტორი ჰ. დ. საყვარელიძე.